




572
1984



წიგნი



„დილის“ წინაპრები



იმდინარე წელს 100 წელი შესრულდა ქართული საუმაწვილო ჟურნალის „ნობათის“ გამოცედიდან. ამ საუბიდეო თარიღთან დაკავშირებით, ჩვენი ჟურნალის რედაქციამ გადაწყვიტა გაიბმით ქართული საუმაწვილო ჰერი-ოდიკის ისტორიის შესახებ, გაიბმით, თუ რა დიდი ღვაწლი და დასასურ-რება მიუძღვით „დილის“ წინამორბედ ჟურნალებს ქართველი ბავშვების აღზრდისა და განათლების საქმეში.

დაეს ჩვენი საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმე სახელმწი-ფოს სრუნებისა და ურანდების საგანია, რეკლუციამდე კი ასეთი ჟურნა-ლების გამოცემა მხოლოდ ნამდვილი ენთუზასტებისა და თავდადებული მამულიშვილების გა-ნუწყებელი და დაუცხრომელი მეცადინეობით თუ იყო შესაძლებელი.

პირველი საუმაწვილო ჟურნალი „წუარო“ 1881 წელს გამოვიდა ცნობილი სასოვადო მოღ-ვაწის ანთიმოზ ჯუღელის რედაქტორობით. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას სისარულით შესვლა სასოვადოება. მაგრამ მიმეკონომიური პირობების გამო დაიბეჭდა ჟურნალის სულ ოთხი ნომერი, თუმცა „წუარომ“ მინიჭ დიდი როლი შესრულა—სელი შეუწყო საბავშვო მწერლობაში ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას და ბავშვების გონებრივ და ესოტიკურ განვითარებას (აქ დაიბეჭდა პირველი ნიკო ლომოურის ბრწინეაღე მოთხრობა „პატარა ქავანა“ და ლექსი „უინკა და პატარა მოწაფე“, რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსები „სამიარი“, „გა-ზაფსული“ და სხვ.); დასაბამი მისცა ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის არსებობას.

1883 წელს ქართული წიგნის მოაბეჭდ სეჩარია ჰიენამემ გამოცდა საბავშვო ჟურნალი „საუმაწვილო ბაღი“. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი არ იყო ილუსტრირებული და გამოვიდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნომერი, „საუმაწვილო ბაღის“ გამოცემა იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. ჟურნალი დაიბეჭდა ჩვენი სახელგანთი მწერლების აკაკი წერეთლის და ნიკო ლომოურის ქმინალებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1884 წელს, ანდრია ლულამის რედაქტორობით, მოსარდაბ თაობამ მიიღო მშენიერად გაფორმებული ჟურნალი „ნობათი“. (მანამდე, 1883 წლის ბოლოს, გამოვიდა „ნობათის“ სანიმუშო ნომერი). ჟურნალს ერთოდა „ვედაგოგიური დაბატება“, რომელიც ფაქტორად პირველი ქართული ვედაგოგიური ჟურნალი იყო—აქ დაბეჭდილი წერილები, აკობ გოგებაშვილის ახრით, სოფელ უწუბობა ვედაგოგიური ახროვნების განვითარებას.

„ნობათი“ თანამშრომლობდნენ ჩვენი ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, რაფიელ ერისთავი, აღექსანდრე კახიანი, კვატერინე გაბაშვილი, სოფრომ მეგლობლიძე. აქ დაიბეჭდა ჩვენი საუმაწვილო ლიტერატურის შედევრი „შეღის ნურკის საბმობის“, რაფიელ ერისთავის ლექსი „მიპატყება სასწავლებელში“, სოფრომ მეგლობლიძის „უკვიტას ქურდი“ და სხვ.

„ნობათი“ დასრულებით წელიწადნახევარი იარსება და მის შემდეგ სთით წლის მანძილზე ქართველ ბავშვებს თავიანთი ჟურნალი აღარ ჰქონიათ. 1890 წელს შესანიშნავი ქართველი მოღვაწის ანასტასია თუმანიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ჯვილი“. იმ დროისათვის ეს იყო ნამდვილი დღესასწაული. ქართველი სასოვადოება გულწრფელად ულოცავდა რედაქტორს გამარჯვებას, რადგან მას ეძიებ ბრძოლა დასჭირდა, რომ ცენსურისაგან ქართულ ენზე ჟურნალის გამოცემის უფლება მიეღო.

ჟურნალის სახელწოდება აკობ გოგებაშვილს ეკუთვნის. ეპიგრაფად კი „ჯვილის“ წამბღვარებული ჰქონდა იოსებ დავითაშვილის ლექსის სტრიქონები: „იხარდა, მწვანე ჯვავილო, და-

ბური, გახლი ვანაო, რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე ამჟღავნებდა ჟურნალის გარეკანს.
„ჯეჯილი“ მშვენიერ ქალღღმად იბეჭდებოდა, მშვენიერი შრიფტით, და კარგად იყო დღე ს-
ტირიებული. მისი ორი განუყოფელიდან ერთი იბეჭდებოდა მასალები მცირეწლოვანთათვის,
ხოლო მეორეში—მოხრდილი ასაკის ბავშვებისათვის.

„ჯეჯილი“ თანამშრომლობდნენ იმდროინდელი საუკეთესო მწერლები და სხვ. ოგადო მოდ-
ვაწეები. საილუსტრაციოდ გვინდა მოვიტანოთ ჟურნალის ჰირეული ნორმის მინაშის:

1. ჯეჯილი—ლექსი. მ. მღვიმეელისა.
2. ჯეჯილი—ლექსი ვაგაფშაველასი.
3. გიკლას სიხმარი შობა ღამეს—საუმაწვილო ამბავი ბარკლისა.
4. მეტსელისა და ჭიჭიკის ომი—პოემა ლექსად აკაცისა.
5. ჩემი მამული—საუმაწვილო ამბავი ვაგაფშაველასი.
6. ციციხის სიხმარი—სალხური ლექსი.
7. სწილი და ჭიანჭველები—საუმაწვილო ამბავი ი. გოგბაშვილისა.
8. ბასაღეთის ტბა—ლეგენდა ლექსად ი. ჭიჭიკისა.
9. შობა ღამეს—საუმაწვილო ამბავი ფრანგულიდან.
10. შეიღნი ვართ—ლექსი რაფ. ერისთავისა.
11. სამი გლეხი და ქრისტე ღმერთი—ზღაპარი.
12. ღვთის შვილი—მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა.
13. თეზოს, ბერძნების მითოლოგიიდან—ალ. ჭიჭიკისა.
14. ჭიანჭველა, სამეცნიერო წერილი—ეფ. ჭიჭიკისა.
15. სამეცნიერო გადასა—ფრანგულიდან.
16. შედორგობა (თამაშობა)—ან-ბანისა.
17. მეფე და მეფეზე—ზღაპარი-გამოცანა.
18. სამი მგზავრი (იგავი)—ან-ბანისა.
19. ლოკოინა და სელიკი.
20. მელა და ვერკმალი.
21. ანდასები, გამოცანები, სალხური ლექსები, შარადა, რებუსი.

1904 წელს მთავრობის ბრძანებით „ჯეჯილი“ დაიხურა და მხოლოდ 1905 წელს მოასერს
ანასტასია თუმანიშვილმა მისი გამოცემის აღდგენა. აი სწორედ იმ პერიოდში, როცა ქართველი
ბავშვები უყურნალოდ დაჩნდნენ, 1904 წლის ნოემბერში, შესანიშნავი ქართველი მოღვაწის მარია
დემურის თაოსნობით დაარსდა ახალი საუმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც შემდგომში
ღირსეულად ამოუტყვევებდა განასაღებულ „ჯეჯილს“.

„ნაკადული“ გამოირიდა თვეში ორჯერ—მცირეწლოვანთათვის, ერთსულ—მოხრდილთათვის,
ორ თვეში ერთსულ კი მას ერთგულად „შედაგოკიური ფურცელი“, რომლის გამოცემა 1906 წელს
შეწყდა. მოხრდილთათვის განკუთვნილი „ნაკადული“ გაუქმდა 1920 წელს. მაღე არსებობა შეწყ-
ვიტა „ჯეჯილიმაც“. ისე რომ, მცირეწლოვანთა „ნაკადული“ იმ დროს ერთადერთი საბავშვო ჟურ-
ნალი იყო. 1928 წელს იგი ჟურნალ „ოქტომბრულად“ გადაკეთდა, 1947 წელს კი, ჟურნალის
მამნიდელი რედაქტორის, ცნობილი ქართველი პოეტის რეკას მარკაბნის ინიციატივით „ოქტომბ-
რულს“ „დილი“ ეწოდა. ასე რომ „ნაკადული“ „დილის“ პირდაპირი წინაპარია. თუმცა უფრო სწო-
რი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „დილის“ წინაპრებია „წყაროდან“ მოყოლებული ეველან ზემით
ჩამოთვლილი ქართული საბავშვო ჟურნალი.

მარია დემურია „ნაკადულის“ ირგვლივ შემოკარება სასელეოვანი ქართველი მწერლები და
შედაგოკები: აკაკი წერეთელი, ვაგა ფშაველა, იროდიონ ევლოშვილი, ნიკო ლომოური, იაკობ გო-
გებაშვილი, კიტა აბაშიძე, შიო მღვიმელი, ალექსანდრე სახანშვილი, არჩილ ჯორჯაძე, იოსებ
გრიშაშვილი, ნინო ნაკაშიძე და სხვები. ნინო ნაკაშიძე, მარია დემურის გარდაცვალების შემდეგ,

17-718

ქ. მაკაშვილი, ს.კ. სერ-
საქართველოს ენათმეცნიერება

თვითონ ჩაუდგა სათავეში „ნაკადულს“ და დიდხანს მოღვაწეობდა ქურნალში ქართველი ბავშვების საკეთილდღეოდ.

„ნაკადული“ გამოსვლა საქართველოში რევოლუციური ბრძოლის ასერიტობასა და მუშათა მობრძობის გაცხოველებას დაემსახვა. მოზარდი თაობის ზოლიტიკური გათვითცნობიერების მიზნით ქურნალში იბეჭდებოდა მუშათა და გლეხთა დუხჭირი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები.

„ნაკადული“, ისევე როგორც „ჯეჯილი“, ემაწვილებს უდიდებდა ჰატრიოტულ გრძობას, სჯელს უწოდებდა მათს მცენიერულ განსწავლას, უწერდავდა მათ სიყვარულს ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსებისადმი, შურსავადა მოქალაქეებად მათი ჩამოვლადიუბებისათვის. მის რედაქტორსაც ის ჰქონდა სათქმელი ბავშვებისათვის, რაც „ჯეჯილის“ რედაქტორს: „მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რათა დედა ენა გესწავლათ, დედა-მამის, დედა-მამის და სამშობლოს სიყვარული ჩანგურ-გებოდათ გულში. ჩვენ გესურდა კითხვა შეგვევარებოდათ, შეჩვეოდით მას და უსაქციელო დროს გატარების მაგივრად „ჯეჯილიდან“ კარგი ამბების ამოკითხვით სიამოვნებით გატყუარებინათ დრო და ჰგუო გესწავლათ... სულ იმის ფიქრით და ცდაში ვარ, როგორ ახლსარდო თქვენმა მშობმა, ერთობა, კაცთმოყვარობა და შეგვევართ თქვენი ტურფა სამშობლო“.

1928 წელს, როგორც ვთქვით, „ნაკადული“ „ოქტომბრულად“ გადაკეთდა და იმ დღიდან მოულოდულოდ ეწერებოდა ჩაგდა ახალი, სოციალისტური ცხოვრების ამსახურში. განუშკამილია ქურნალის დამსახურება მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვლეობითა და მაღალი მორალურ-სწავლობრივი ბრძინცაბებით აღზრდის საქმეში.

ქურნალ „დილის“ დღევანდელი სამოქმედო პროგრამა სრულიად შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების განზრდილ მოთხოვნებს. უპირველეს ყოვლისა ის მოზარდ თაობას კომუნისტური, ინტერნაციონალური და ჰუმანისტური იდეალებისადმი ერთგულებას უწერდავს, უდიდებებს ჰატრიოტულ გრძობას, მშობლიური ლიტერატურისა და მშობლიური ენის სიყვარულს, სხვა ენების და სხვა ეროვნების ხალხების ჰატრიოტისცემას, აუვარებს ჰატარებს ევგელაფერს ნათელს და დიდს, რაც კაცობრობას ოდიტვან შეუქმნა, სჯელს უწოდებს მათს ესთეტიკურ აღზრდას და გონებრივ განვითარებას, უწერდავს მათ შრომის, ტექნიკის სიყვარულს.

დღეს ჰატარებმა განსაკუთრებით კარგად უნდა იცოდნენ ის კონკრეტული საქმეები, რომლებსაც მათი მშობლები აკეთებენ, და ამავე დროს თვითონაც ჰატარებენ უნდა ჩაებან შრომის ფერსულში. მოზარდებს ბევრი სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისთვის თავიანთი ვარჯით, და აუცილებელია ნათლად იცოდნენ, თუ რაში იყენებენ მათ მიერ შეგროვებულ ვარჯის, მაკულატურას, ნაყუწებს, კენკრას თუ საშენარნლო ბუბასს, რანანირ და რამდენ პროდუქციას დებულობს ქვეყნსა მათი შრომის შედეგად.

დრო სწრაფად მიდის წინ და ჩვენს წინაშე ახალ პრობლემებს აუენებს. ქურნალი „დილაც“ თავის თანამოქმედთან—ქურნალ „პიონერთან“, კახეთ „ნორჩ ლენინელთან“ და გამომცემლობა „ნაკადულთან“ ერთად, კვლავაც ფებს აუწუმობს დროის მსვლელობას და დეულდავად ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდასა და განვითარების საქმეს.

„დილის“ წინამდებარე, მე-12 ნომერი ჩვენს წინაშე ქართულ საემაწვილო ქურნალებს ემდებება. თქვენს თვალში წინაცხვლებდა „წყარო“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“... უფრო სწორად—მცირეოდენი ნაწილი იმ ზღვა მასალინა, რომელიც სხვადასხვა დროს ამ ქურნალებში გამოქვეყნდა. მასლების უმეტესობა იბეჭდება ზუსტად იმ ხანით, როგორც თავის დროზე დაიბეჭდა. ოდონდ სიდიდის გამო ეკ. გაბაშვილის „მადანას ლურჯადან“ მსოფლიო ერთ თავს ეთავაზობთ, ლ. ქიანელის ზღაპრიდან „ნატერის თვალა“ კი—ფრანგურტებს. შემცირებულა, ავტოფეე, წყარა-კითხვის გაბეჭეტილი „ნობათიდან“.

შამინდელი ჰატოთური ილუსტრაციების გადმობეჭდვა მიხანმწინილად არ ვცნაით და ნომრის გადფორმება ჩვენს მთავარ მსატარეს გიორგი რინინძელს ვთხოვთ.

ენვერ ნიჭარაძე,
ქურნალ „დილის“ მთავარი რედაქტორი.



რაფიელ ერისთავი

გაზაფხული

თელი ატირდა ღანქერად, ზაზას გაუთბა ძელებია,
ქვევანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწეურებია.
წეროებს ვხედავ ცაშია, დამწკრივდნენ, როგორც ისარი,
მიფრინველ ხრდილოეთისკენ, იმათი წესი ის არი...
აუერ მერცხალმაც ჰაერში რა ცელოქად შეინავარდა,
იამაც სუნი მოვუფინა, რა ზამთარს სული გაჰვარდა,
სუეუელა ხარობს და ვალობს, სირი იძინადებს ბუდეა,
სახნის-საკვეთსა სწეურავენ, ბოსტანს უვლეოენ ზღუდეა.
ბუნებაც ჰევავის მრავალფერად და იმისუბა მწკანეთა,
გასწიეთ, ბიჭო, მინდარში, და მეც თან წამიუვანეთა.

„წეარო“. 1881 წ. № 2.



ანდაზა და ხალხური ღებნი

ხარმა თქვა, ხარი ვერ მომკლავს, თუ მებრემ არ მილალატავს.

კამეჩი წვეს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

სახუპარო ბაკთაღია?

სანთლის გუთანს გავაკეთებ, შიგ შევაბამ ულედ დეგსა, ზღვაში ვზნავ და ზღვაში ვთესავ, ზმედზე ვინადირებ თეგზსა, ყინულზე კაღს გავდევწავ, მორეეში გადავყრი ბზესა, კინჭველებს გოდრს ავკიდებ, კამეჩებს შევატემეგ თხდესა.



შეაღბინეთ აზგვარი სიტყვები

- შაქარი
- აქ არი
- ქარი
- არი



აკითხავიკული გომოტანა


ერთი გღენის ეზოში რამდენიმე ცხვარი და ინდაურია. სუყვედას ერთად 15 თავი აქვთ და 50 ფეხი. რამდენი ცხვარია ეზოში და რამდენი ინდაური?

„წყარო“. 1881 წ. № 2.

გომოტანა

- ნიკა მოდი, ერთ გამოცანას გეტყვი.
- თქვი.
- ერთ ქვეყანაში სამი ძმა ცხოვრობს. ამათ ჰყავთ თითო და; ყველანი რამდენი არიან?

„წყარო“. 1881 წ. № 3—4.



აღერსით უთხრა: „ზეჴელა,
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გვალავს მთელი დღე
მოუსვენარად ფრენაო?“
ზეჴელამ უთხრა: „მინდორში
ვცსოვრობ მე უსრუნველადო...
ოქ ვუავილები გაშლილან
ხემ სასრდოთ, საწოწნელადო.
რაც დღე მექვს—ტკბილად ვატარებ,
ხემს ნებაზედაც დაფურენო,
მგურამ დღე-გურმელი არა ვარ...
გამიშვი... ნულა მანდენო!“
ემწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნასი ჴეჴელა...
და, თითქოს ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.


„ნობათი“. 1884 წ. № 1.



აკაკი წერეთელი

ყმაწვილი და კეჴელა

რელი ჴეჴელა დაათრო
და კანბრუა იამა...
მას მიეპარა ემწვილი,
დიიჭირ და იამა...



მეულის ნუკის ნაგვარი

(პატარა მოთხრობა)

„ნობათი“. 1885 წ. № 4.



აწაწ ვარ, თბოლი. ბედმა დამიბრძოვა, ცუდ დროს დავობლდი; ტან-სეღ მაცვინა ჰატარა, მოკლე ბეწვინანი, თეთრი თვლებით მოწინწკლული, თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმავრებია.

გზა-დაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემ სისხლიან ფეხსა, — ეს წეღის დანსაღვად რომ ჩავედი ხევში, მამინ ვიტანე... გული მიწუსს... გული... საბრალო დედა ჩემი! მანამ დედა მეზვად ცოცხალი, სულ ალერსში ვეხანდი: მუძუს მანწავებდა, მინაღერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ესლა! მუძუს აღარ ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რმის ნდომას იმითი ვეკლავ. უზატრონო რომ ვარ, სულ მეშინია, ვანკალებ, — მუღამ დღე სიკვდილს ველი, გზა-არეული დავეგეტები... დმერთო, რამდენი მტერი გვეავს!

წედან ველ-პირად გავედი დადნებული... იქით-აქით თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზე ტექა ვანისმა. ავიხედე მადლა: მხრებამეკუმშული, ნისკარტადლებული, უსარმზარი ლეგა ფრინველი მოდოდა ჰირ-დაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წვეული ფრინველი, ტანი ვედარ შეიძავრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ჟრუნტელი მივლის, როდესაც მისი მოკაული ნისკარტი და აღმასივით ბრჭყალები მაგანდებ, ჰირ-დაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზე და მავლთვანზე მხრებით ტელაშუნი გადინა; მიავლ-მოავლო სახარეული ვეითელი თვლები, — ეწინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინაღამ მავლებში გაება. მე ერთ ხეს ვეფარე და იქიღამ გულის ფანცქალით ცალის თვალთ ვავეურებდი.

ვანცვალე ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემი ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული მეუნება, რომ მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედანთან. ის მასწავლიდა ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ესლა ვინ-ღა მასწავლის? სულ შამში ვწვები, ვიძლები, მუძლის და კოლოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედანთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედა ჩემი, აკერ ტეიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხეები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით. მუღამ დაჩრდილული გაბურული ტეითა, უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედა ჩემი დაწვებოდა სოღმე გორაკზე, მე კვლდით მავწვებოდა; სამივე მხრიღამ ხეები კვეფარა, — მოღმუნე ფუთონ გაიურებოდა. სახ-და-ხან უურებს დაცქვეტდა, მი შეწვებოდი და ვბამავდი იმის ქცევას, ჩემს ჰატარა უურებსაც ავცქვეტდი. სამჯერ

უნველებრივო ხმაურობა შემოგვესმა: ის არ გვანდა არც წელის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალის რაკუნს, არც კიდევ ხმელის ხის წვერიდამ ჩამოფარდნილი ტოტის რასუნს, არც ნიავისსავან გამრიალებული ფოთლების ხმასა... ეს შევნიშნე მე. რა წაშს ამ საუცხოვო ხმას გაიკონებდა დედა ჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტეოდა: „შვილო! მოძექ, მე მოძექ“... გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალა და ღონე მქონდა, არ ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფთხვებოდა. ესეა კი ვიცინო... ოჰ, რამდენი მტერი გვეყავს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე ჰატონა, რატომ არ მამღვე თავისუფლებას, რომ გულ-დანვენიებული თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდევ სერსედ და დავტეპე სადამოს ნიავის სიოთი.

ჯერ გავცილებივარ ტყეს: თუ გავედი ვეღად, უნდა ტეის ჰიროს არ მოცივილდე, — მაშინაც ნახვეარი სიცოცხლე მაკლდე! სულ აქეთ-იქით უნდა ვიეურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებს და კახკალით ვჭამო საჭმელი, შიშისავან ზეხეურად უნდა დავდნე... რას ვიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დავიშავა საბრალო დედა-ჩემმა, რა შევისვა, რა შევიტემა, რომ მოჭკალი და უშატრონოდ დამავდე, დამაობლდე?! ოჰ, ადამიანებო! თავის ხერხე და ღონეხე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსო... არ გრძნობთ, რომ ჩვენც ვეიფარს თავისუფლებას, არ გრძნობთ თქვენი შეურთალებლის გულითა, რომ ჩვენც ვეიფარს სიცოცხლეს, ბუნება: ფოთლის შრიალი, წელის ჩქრიალი, რომელსაც სულ-განახული ეგრე სშირად ეურს ვუგდეპე ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტეის ცსოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალე-დანისსლიანებული, დაფაციცებული დამეკებ და ჩემ ფერს სუსტს და უშატრონოს ათასს სხვას... იარალი გაქვს, მოგვეპარები, მუსთალად გვერავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთის სოფელსა...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ მე სულ ერთი კვირას, რაც წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინ-წინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლით და სიმშვენიერებით აღსავსე დედა ჩემი, წიფლის გვერდსედ იღვა და გემრიალად იცხნინდა... მეც გვერდით ვუდექი, მისხროდა დედანთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც-კი მავონდებოდა დედის იმედით. სშირის ფოთლებიდან წვიმის ნაძი კაძკაძით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სანაიმოფნო წვეთებს გავვეკრილებინე.

— არ ვიანა, შვილო? მეითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევი და ვხტოდი, ხან მუბუებსი ვებრჩინიდი.

ჩვენს წინ ერთს ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მავრა უკავუნებდა, რომ მივევირდა, — დედა ჩემი ამოტყლავდა და არ შეუძლია ეგრე ტეის განხეურება, როგორც ამ ჰატონა ჩიტს-მუთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფესების ფხავუნით და ხან ერთს და ხან მეორე ადგილას ჩაჭკრავდა ნისკარტსა... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შავეურებდი. უცებ „ჩხი!“, „ჩხი!“ მომესმა. მოვიხედე გვერდსე: თავსედ ერთი ჩხიკვი გვე-

ლებოდა. „თავი მომაფარეო,—მითხრა დედა ჩემმა,—თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრო-
სო...“ მე თავი მოვაფარე. დედა ჩემი იგერიებდა თავით იმ სანძველს. ჩხიკვი ჩემკენ
იწეუდა. ბევრი იცოდებოდა, მე რე დავგანებ თავი, თავ-მოკატუნებული წიფლის ტოტზე
შესკუჭდა და მოჭყა კნავილს. მისი ხმა სწორედ ჩემს ხმას ჰგავდა. დედას გაეცინა
და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა ზატარა
ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჭყვება; ახლო-მახლო
რომ შენისთანა ბრიუვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაემარხნება,
მაგნაც ის უნდა: მისატება და თვალებს გამოხჩიჩინოს!..

მე ტანში ჭრუნტელმა გამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავუძალები მაშინათუე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გეაგს, ნუ შეგეშინდება, როცა
მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

— ოჲ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდე მე საცოდავსა!..

სალხური ლექსები ჩქარა გამოსათქმელები

ციდამ წამოვა ტოროლა, ჩამოთელის კალობასო,
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია, ნეტაე შენ ქალობასო.

შენი ჭირიშე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ველისა,
შენა ხარ ზურის მომუენი, დამეველებელი ქერისა.

„ნობათი“. 1885 წ. № 5.

კაცო, შე შეგ-შე-კაბ-ტევაიანო.

„ნობათი“. 1884 წ. № 4.

ცას მოუწმენია, მოუსკილის-
კამურებია; როგორც მოუსკილის-
კამურებია, ისე გამოუსკილისკა-
მურებია.


„ნობათი“. 1885 წ. № 2.

გამოსანა

უხელოდ წწული საცვარი
მალლა კუთხეში ჰკილია,
სხვისთვის მახეა, პატრონის
ღეროფანი და ხილია.

ამ ბალის თვლებში ჩაწერეთ
შემდეგი ასოები: 3 ე, 2 ვ, 3
ი, 1 თ, 2 კ, 2 რ, ისე, რომ
მარცხენა მხრიდან მარჯვენისა-
კენ გამოვიდეს იგივე სიტყვე-
ბი, რაც ზევიდან ქვემოთკენ.

„ნობათი“. 1884 წ. № 2.



წერა კითხვის გაკვეთილები

(ნაწყვეტი)

მასწავლებელი—ეინ მეტყვის, რაში ხარშავენ შეკამანდს?

მოსწავლე—ქოთანში, ქვაბში.

— სუფრასდ მოტანის დროს, შემზადებულ შეკამანდს რასდ ასხამენ?

— ჯამზედ, მათლაფაზედ...

— რას ეძახიან ერთის სიტყვით ჯამს, მათლაფას, თეფშს, ქვაბს?

— ჭურჭელს...

— კიდევ რა ჭურჭელს ხმარობენ ოჯახში?

— ნიტრას, დოქს, კოკას, ქილას, თუნგს, ქიქას, ლამბაქს, კოვზს, ციცხეს, თასს, გობს და სხვ.

— რისგან აკეთებენ ქვაბს, თუნგს?

— სპილენძისაგან.

— ეინ სქედს სპილენძისაგან ქვაბს, თუნგს?

— მექებაზე.

— რისგან ჰკეთდება ნიტრა, დოქი, კოკა, ლამბაქი, მათლაფა, ქოთანი, ქილა!

— თინისაგან.

— რისგან სთლიან გობს, ციცხეს, კოვზს?

— ხისაგან.

.....

— რამდენი მარცვლისაგან შესდგება სიტყვა თასი?

— ორი მარცვლისაგან.

— ხმების თ, ა და ი-ს სურათებს ჩვენ ვიცნობთ და მათი წერა ჩვენ ვისწავლეთ წარსულ გავ-
ეთილებზე; ეხლა მე თქვენ გიჩვენებთ ხმის ს-ს გამოხატულობას; ეს ხმა ასე გამოიხატება (მასწავლე-
ბელი აჩვენებს მოსწავლეთ ასო ს-ს.); შემდეგ აურევს ამ ასოს სხვა ასოებში და მოსწავლეებმა უნდა
გამოიკნონ ეს ასო.

— მოემზადენით საწერად; დასწერეთ სიტყვა „თასი“ (სწერენ რამოდენიმეჯერ).

— ეხლა დასწერეთ სიტყვები: (მასწავლებელი სწერს კლასის დაფაზედ სხვილი ასოებით: ასი
თასი, ათასი საათი, საით. მოსწავლენი ამ სიტყვებს სწერენ რამოდენიმეჯერ).

„ნობათი“. 1884 წ. № 4.

გ ა მ ო მ ა ნ ა

სოლომონ ბრძენმა წვეულება გაჰმართა, თავის სტუმრებს დაურიგა თითო ადლიანი კოვზები და
უთხრა: „ყველამ კოვზის ბოლოში წააღლეთ ხელი და ისე მიირთვიეთ თავ-თავისი კერძიო.“

ამისთანა გრძელი კოვზებით ვერავინ ვერ მოახერხა ჰამა და არც შეეძლოთ კოვზის სხვაგან ხე-
ლის წაღლება, თუ არა ბოლოში. ერთმა მათგანმა მოიფიქრა და მოახერხა, ისე რომ ყველამ ჰამა დაიწ-
ყეს და შშიერი არავინ დარჩენილა.

გამოიკანით, როგორ მოახერხეს იმ კოვზებით ჰამა.

„ნობათი“. 1885 წ. № 1.



მწვანეა მუდამ წალკოტი,
 არას დროს თურმე არ სჭკნება,
 ქვეყნისა დროთა ტრიალსა
 იგი არ ემორჩილება.
 ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
 ვერც სიცხე, ვერცა ზღარი
 და იმის მზიან-ჩრდილებში
 მუდამ გაზაფხული არი.
 წალკოტის შუა გულშია
 ის აკვანი ასევენია,
 და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
 ვერავის გაუბედრია.

II

მსოფლიდ ერთნი სიბრინოზნი
 იმ აკვანს გარს ესევეიან,
 მსოფლიდ იგინი გრმნეულნი
 დანტრფიან და დაჰმღერიან...
 ამბობენ თამარ დედოფალს
 ის აკვანი იქ ჩაუდგამს
 და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
 ტბა კარვად ზედ გადუხურავს.
 ამას კი აღარ ამბობენ,—
 აკვანში ვინ ჩააწვინა,
 ან თვით ერმა თვისი ცრემლი
 ზედ ტბად რისთვის დაადინა.

„გეგელი“ 1890 წ. № 1.



ილია ჭავჭავაძე
ბაგალეთის ტბა

I

ასალეთისა ტბის ძირას
 თქროს აკვანი არისო,
 და მის გარშემო წელის ქვეშე
 უცხო წალკოტი ვეზვისო.



მაგდანას ლუკაჲ



(ნაწევები)

II

ეკატერინე ვაბაშვილი

არბამობის ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანას ჯან-მისდილი, სა-
შინელის ქმენით და ოფელში გაწეული ავიდა იმ აღმართზე, საი-
დანაც სწორე გზა იწებოდა სოფლამდე, და ძალიან გაუკვირდა,
რომ სოფო ჩუულებრივ არ მოეგება, და შიშით გული გადმოუქან-
და. ვაიძე შვილებო!—გულში ხელი ჩაიკრა და თათქმის სირბილით მიიჭრა სასლ-
ში. იმის შვილები და სოფლის გოგობიჭები დერეფანში დიდის ღრინცვლით რა-
ღაცას დასტრიალებდნენ, მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშვების კროვას და გაოცებული
შესდგა; მიწასედ დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და შიშით
ქმინავდა. მაგდანას სასესედ დიმილმა გადაჭკრა და ბავშვები მირეკ-მოტრეკა. შემდეგ
დიდის გულისხმიერებით გაუშინჯა სახედარს წელი, ფეხები და, რა დარწმუნდა, რომ
სახედარს მოტეხილი არა აქვს-რაო, უფრო ტკბილად გაიღიმა.

— დედა, იცი, მისხს ეგ ვირი გზის ნაპირას ენახა, დამიძახა და რის ვაი-ვაგ-
ლანით მოვავდეთ შინამდინა. ის იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ
საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ვვირილს მოვეყვი. გოგობიჭები შე-
მოცვიფდნენ, და აი შენც მოხვედი.

— ოჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჭეფს.
ახა წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე,
სულ ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოიბრინე.

მაგდანას სულ დაავიწვდა, რომ დაღლულ-დაწვეტილი იყო, და საჩქაროდ სა-
ხედრის მოვლას შეუდგა. განათო წვალი, გადალუჯილი და დაინრავებული ზურგი
მოჭბანას, ნავთში გავლებული ჩვარი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუსხნა და ცივი
წვალი ჩაასხა. შემდეგ მარლი-მოფრილი ლუკმა ჩაუდო და გადასწავსავებული შირუ-
ტევი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს
აღერსით წინ დაუბარა.

„ჯეჯილი“. 1890 წ. № 2.



საჩუქრის მიღების კითხვა

ვინ იყო საჩუქრებელს უდიდებულადი გეზა-ქალი? რითი იყო ის დიდებული?

ვინც „ჯეჯილის“ ხედის მომწერ ბავშვთაგანი ამ კითხვაზე მეფე—ქალის ცხოვრების საუკეთესო მოკლე აღწერას წარმოადგენს, იმას გავგზავნება ამავე მეფის სურათი ფერად წამლებით დაზატული (ვთხოვთ დედ-მამას, არ დავმზარონ). პასუხის გამოგზავნასთან ბავშვის წილგანება უნდა იყოს აღნიშნული. საუკეთესო პასუხი დაიბეჭდება „ჯეჯილი“ში.

„ჯეჯილი“. 1902 წ. № 4.

ახსნა

რითვის ვსვაპლმთ? რა უორო მინდა რომ ვისვაპლმთ და რანაირათ ვაპირავთ სვაპლის გავრყენვას.

მისთვის ვსწავლმთ, რომ კარგი ადამიანები გამოვიდეთ და ჩვენ სამშობლს რამეში გავმოვადგეთ. სულ ყველაფერზე უკეთ მინდა ვიცოლეთ დედა ვნა. სწავლა მინდა რომ გამოვიყენო ჩემი ქვეყნის სამსახურისათვის.

თათარყან (11 წლ.) და საშა 8 (წლ.) დაღეშყვიანიები.

„ჯეჯილი“. 1902 წ. № 4.

აითმეავიკუპი გავოსანა

ათ თუნგიანი კურჭედი ღვინით სავსე გვაქვს. როგორ მოახერხებთ, რომ ეს ღვინო თანასწორად გაჰყუთ შუაზე, თუ გასაყლოად მხოლოდ შვილ-თუნგიანი და სამთუნგიანი კურჭედი გაქვთ?



ვაიგვზისი

ეპიტეზისი ბერძნული სიტყვაა და ჰნიშნავს: რომ სიტყვაში უნდა გამოკლებული ასოები ჩაისვას. კ-ც-ბ-ჭ-ბ-დ, ღ-მ-რ-თ-ც-ნ-დ-

„ჯეჯილი“. 1890 წ. № 5.

შიო მღვიმელი

ნაკადული


ე შორის გვიდან მოვიდვარ
საღლის მთებიდან ბარადა,
მოვჩქეფავ, მოვეშურები,
მოვიმდერ ჭაი-ჭანადა.

მინდა გადმოვცეთ სალაში
ამწვანებულის მთებისა,
სალაში კლდეთა ჩანჩქრების
და გაშლილ ვეზვილებისა.

თვით ვეზვილების ცრემლი ვარ,
ცვარ-ნამად გამოწვეული;
ერთს კალაპოტში ჩამდგარი,
დღეს ნაკადულად ქცეული.

იმ ვეზვილების და ჩემი
ერთია წადილ-სურვილი—
გამხმარ ველ-მინდორებს ვესხურთა
და თქვენ მოგიკლათ წურურვილი.

„ნაკადული“. 1904 წ. № 1.



იროლიონ ევლოშვილი

ვიცლოჩხა

ინ წინა და ვინ უგანა,
აბა, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
მოვკრიფოთ და კონათ შევკრათ
ვეზვილები ათას ფერი!

მოვიქარგოთ მკერდი, ქული,
მერე ბურთი გავკრათ მარდად,
გამოჩნდება, ვინც ბიჭია,
ვინ თამაშობს ჩვენში კარგად!

მაშ, უადვილეთ ალაფ-მალაფ,
აბა, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
სათამაშოდ გადაგვშლიათ
ჩვენ მინდორი მშვენიერი!

„ნაკადული“. 1909 წ. № 13.



ნატურის თვალი

(ზღაპარი)

ფრაგმენტები

ლევო ქიაჩელი



ანო და ნუცა დიდ-დედამ მამიდა სალომესთან გააგზავნა. თაფლი სჭიროდა წამლისათვის დიდ-დედას, რადგანაც ვანოს და ნუცას დედა ავად იყო, და თაფლი კი სახლში არ ჰქონდათ.

მამიდა სალომე ცოტა შორს იდგა. ვანოს და ნუცას უნდა გაველო ფართო მინდორ-მწვანე, რომლის შუა გულში მირაკრაკებდა ცველი და დაუღვებარი რუ-ანკარა. რუ-ანკარას ცოტა ზემოდ იწყებოდა თმა-ქუჩუნა და უხე-ფოთლიანი ტყე-შრიალა; ტყე-შრიალას განაპირას კი მოსახლეობდა მამიდა სალომე.

დილა იყო პირ-მზიანი. როცა ვანო და ნუცა გამოვიდნენ სახლიდან და მამიდასაკენ გზას გაუღდნენ. ვანოს ყაბალახით თავი წაკრული ჰქონდა და გრძელი ჯოხი ეჭირა ხელში.

— მე რომ ნატურის-თვალი მომცა, იცი, რას ვინატრებდი, ვანო?—უცებ ჰკითხა ნუცამ ვანოს.

- რას?
- დედის მორჩენას!.. მაშინ დიდ-დედას წამლის მზადებაც არ დასჭირდებოდა!
- ტყე-შრიალაში უნდა იყო ისი ნატურის-თვალი, მაგრამ ძნელია მისი შოვნა!
- რატომ არის ასე ძნელი, ნეტავი?!
- ის, გოგო, გველგებსა აქვთ შენახული ისეთ ადგილას, რომ კაცი ვერ მივა!.. წელიწადში ერთხელ თურმე, სადმე თხრილში, დიდ ორმოში, შეიკრიბებიან გველები და გამოიტანენ გარედ ნატურის-თვალს! შეჯგუფდებიან ყველანი ერთად და ბურთივით ათამაშებენ თურმე! მაშინ თუ ვინმე ბედნიერია, წააწყდება ასეთ ამბავს და, თუ იცის ხერხი, გამოსტყუებს ნატურის-თვალს! ეჰ, ნეტავი მე ვნახო და ის კი ვიცი, როგორ უნდა მოვიტყუე!..

- მასწავლე მეც, ვანო!
- აი, როცა ნახავ, რომ ნატურის-თვალს ათამაშებენ გველები, ყაბალახი ან თავსახევი უცბად დაამრგვალე, ბურთს რომ ჰგავდეს ისე, და გადაუგდე გველებს!.. იმათ მაშინ შეეშლებათ და ნატურის-თვალის ნაცვლად ყაბალახს დაუწყებენ თამაშს! შენ უნდა ივარგო მაშინ, დასტაცო ხელი ნატურის-თვალს და გამოიტყუე რაც ძალია და ღონე გაქვს! გველები მალე გაივებენ, რომ მოსტყუდნენ და სისინით გამოგედევნებიან! შენ არ უნდა შეშინდე... მდინარესკენ უნდა გაიტყუე და მეორე ნაპირზე უნდა გადახვიდე დაუყოვნებლივ!.. მაშინ მდევრები შენ კვალს დაჰპარგავენ, რადგანაც როცა ჰკითხავენ წყალს:

„ესა და ეს კაცი არ გინახავს საით წავიდაო?“—წყალი ეტყვის: „თქვენც ახლა მოდით და მეც ახლა მოვედიო!..“

— ტყის ნიაემაც, ჩიტებმაც, ყვავილებმაც იციან, თუ სად არის დამალული ნატურის-თვალი,—სთქვა ვანომ:—ჩვენ რომ გვესმოდეს მათი ვნა, გავიგებდით გველების საიდუმლოს და გავებდინებდებოდით!

— მოდი, დიდ ხანს ვუგლოთ ყური, იქნება გავიგოთ.

— არა, ჯერ მამიდასთან მივიდეთ, გამოვართვათ თაფლი და აქეთობას ცოტა ხანს ტყეშიც დავიცადოთ!

როცა გამოვიდნენ ტყიდან, ვანო მიუბრუნდა ტყე-შრიალას და ხმა-მაღლა უთხრა:

— ჩვენ ისევ დავბრუნდებით სულ მალე... შენ კი, ჩვენო საყვარელო ტყე-შრიალავ, ნატვრის თვალი დავვახვედრე აქეთობას და გავვაბენდინიერე!

ნიშნად თანხმობისა ტყე-შრიალამ თავი დაუქრა ვანოს და ნუცას და თავისი მწვეან ფოთლები აღერსიანად ააშრიალა...

აქიკიკიკებული და ამეტყველებული ტყე-შრიალა სულ წინ სწევდა მათ, სულ წინ. ბოლოს ვანომ ერთ ორმოში თვალი მოჰკრა რალაც ბრჭყვიალა საგანს, გაექანა და ჩახედა.

ორმოს ფსკერზე მრავლად შეჯგუფულიყვენ გველები და რალაც ბრჭყვიალა და ბურთივით მრგვალ საგანს ათამაშებდნენ.

ვანომ წაიძრო ყაბალახი, დაამრგვალა, შესკვნა რამდენიმე ადგილას. მერე ბურთად გადაქცეული ყაბალახი ესროლა გველებს!.. ამით მიატოვეს ნატვრის-თვალი და ვანოს ყაბალახით დაიწყეს ბურთაობა. მაშინ ფრთხილად ჩავიდა ორმოში ვანო, სწრაფად იხელა ნატვრის-თვალი და ნუცას ამოუგდო ზევით, ხელით ანიშნა უბეში შეინახეო. აჩქარებით ამოირბინა ორმოდან, ანიშნა ნუცას, აბა, გამოიქცეო, და გამოიქცნენ.

— იცი, ვანო, რომ დედის მორჩენა მე უკვე ვინატრე?—უთხრა სირბილში ნუცამ ვანოს.

— მაშ, დედა ამდგარი დავგვხედება!.. იცი, ნუცა, ყველაფერი, ყველაფერი ავვისრულდება! ოღონდ ცუდი კი არაფერი უნდა ვინატროთ.

სახელიც გამოჩნდა.

გახარებულ ვანოს და ნუცას დედა, მართლაც, ნუცას ნატვრისამებრ მორჩენილი დახვდათ სახლში.

— აბა, მიჩვენეთ თქვენი ნატვრის-თვალი!—მიმართა და-ძმას დიდ-დედამ.

ნუცამ წაიღო ხელი უბისკენ. ეძია ერთ ხანს, მაგრამ ვერ ნახა ნატვრის-თვალი.

— ვაიმე, ვანო, რომ არ მაქვს!

ნუცა ატირდა.

— რა გატირებს, გოგო?—გასამხნეველად უთხრა მაშინ მტირალ დას ვანომ:—კიდევ ვნახავთ ნატვრის-თვალს! ესეც რომ არ იყოს, დედა ხომ მოვარჩინეთ შინც.



ქ. მარტისის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

„მაისის კავშირის“ წევრის მოვალეობა

„ნაკადული“. 1913 წ. № 20.

მაისის კავშირი იმით გამოიხატება ფრინველთა დამცველ ბავშვების საზოგადოებას, რომ გაზაფხულზე, როცა ფრინველები ბუდე იკეთებენ, კვერცხებზე სხედან და ბარტყებს ჩევენ, მათ განსაკუთრებული მოვლა და სიფრთხილე ეჭირვებათ. ამ დროს „მაისის კავშირის“ წევრებს ბევრი სამუშაო აქვთ: დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ დაიცვან ბუდე, კვერცხები და პაწა უსუსური ბარტყები ბოროტი ადამიანებისა და მტაცებელი ცხოველებისაგან.

ყოველი წევრი „მაისის კავშირისა“ მოვალეა პირნათლად ასრულებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს:

- პირველი.** ჩვენ გვსურს ვიყოთ კეთილი და სხვის გულ-შემატყვიარნი, წვალემა-ტანჯვა არასოდეს არ მივაყენოთ არც ერთ არსებას.
- მეორე.** დავიფარავთ სუსტს და უმანკო არსებას. დავიფარავთ ყველა პატარა და უვნებელ ფრინველებს.
- მესამე.** არასოდეს არ შევაწუხებთ, არ დავჭრით და არ მოვკლავთ პატარა ფრინველებს. არ დაუნგრევთ ბუდეებს, არ მოვტაცებთ არც კვერცხებს და არც ბარტყებს.
- მეოთხე.** ზამთარში საკენკს დავუყრით და დიდი სიცივის დროს გაყინვისაგან გადავარჩინოთ.
- მეხუთე.** ჩვენ გვიყვარს თავისუფლება და გვსურს ყველა თავისუფალი იყოს. არასოდეს არ დავიჭერთ ფრინველებს არც ბადით, არც მახით და არც სხვა ეშმაკური მოხერხებით. არასოდეს არ დავატყვევებთ და არ ჩავსვამთ გალიაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფრინველი გალიაში არის დაბადებული, ან თუ სიკვდილისაგან გადასარჩენად საჭიროა შინ მოყვანა.
- მეექვსე.** რამდენადაც შეგვეძლება, გამოვისყიდოთ ფრინველებით მოვაჭრისაგან და გავუღებთ გალიის კარებს დატყვევებულ პატარა ფრინველებს.
- მეშვიდე.** არასოდეს არ მივიღებთ მონაწილეობას უსამართლო საქმეში და არც სხვას დავანებებთ მოიქცნენ უსამართლოდ. ყოველგვარ სათნო ღონისძიებას ვიხმარებთ, არ დავანებებთ არავის უვნებელ ფრინველებისა და ცხოველების წვალემა. იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალება არ გვექნება, მხურვალედ და დაბეჯითებით ვთხოვთ მტანჯველებს, შეიბრალონ უმწეო არსება, რომელიც ჩვენ მფარველობას მოითხოვს.

ყველა ამ პირობების შესრულებას ვკისრულობთ, რადგან გვსურს ამითი მადლობა გადაუხადოთ ფრინველებს მათი საამური ტკბილი გალობისათვის და იმ სარგებლობისათვის, რომელიც მათ ჩვენთვის მოაქვთ.



პაპაჩა კითხვალის წერილები პაპაჩა „ნაკალუს“ კვლევიას

ჩვენ გაბეით მოგვდის. დედა კითხულობდა. ძრიედ შეწუხდა, მერე გვითხრა: იცით შვილებო, ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი, თქვენ რა გიყვართ, ის ძრიედ ავად გამხდარაო. მეტად დაგვალონა ამ ამბავმა. როცა გლოცულობთ, ღმერთო დედა გვიცოცხლე, მამა გვიცოცხლე, აკაკი მოგვიჩინე, ასე ვეწვევებით ღმერთს.

აკაკის ღმერთები ძრიედ ხალისიანად ვისწავლეთ ზეპირად; ძრიედ გვიხარიან, როცა დედა კითხულობს.

სათამაშოების სასყიდლად მამამ იმ დღეს ხუთი მანეთი გვაჩუქა: ჩვენ არ გვინდა სათამაშოები: ეს ფული აგერ გაახედით პატარა „ნაკალუს“—ჩვენს საყვარელ აკაკის, „მერცხაბი“ და „გაბაფხუდი“ რა დაწერა, გთხოვთ ამ ფულით თაიგული მიართვათ.

თქვენი მეგობარი ვია. თქვენი მეგობარი ვატო.
„ნაკალუსი“. 1904 წ. № 2.

გამოცხადებ!

არის სიტყვა ხუთი ასოთი შემდგარი, ნიშნავს ჩვენი სადგომის სახელს. თუ მეორე ასოს გამოვუტყვლით,—იქნება სახელი ერთი სიტყვით გამოთქმული „ღღღ-მამისა თავის შვილებით“, გამოსცვალეთ პირველი და მეოთხე ასო—შეიქმნება სახელი ათჯერ ასისა, ამ სიტყვას მოაკელით პირველი ასო—გამოვა სახელი ქურქელისა; ამ სიტყვასაც მოაშორეთ პირველი ასო და დაგრჩებათ გამოანგარიშებული ათჯერ ათი.

„ნაკალუსი“. 1913 წ. № 1.

გასართობი

სახუმარო გამოცანები

რამდენი მარცვალი ლობიო ჩავა ქოთანში?

რომელი ცხოველია ყველაზე ღონიერი?

ვინ ლაპარაკობს ყველა ენაზე?

რანაირ ბოთლებში არ შეიძლება ღვინის ჩასხმა?

რანაირი წყალის წალბა შეიძლება საცერით?


გამოსანა

სმას არ იღებს, ლაპარაკობს,
წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა,

არც იცინის და არც ტირის,
ჩვენ კი გვაფინ-გვატირებსა.

აკაკი

„ნაკალუსი“. 1913 წ. № 10.



პასუხები თავსატეხვებზე

„წაბრო“

გლეხის ეზოში ათი ცხვარია და ხუთი ინდაურია.

სულ დაძმანი ოთხნი არიან.

„ნოპათი“

ობობას ქსელი.

კვერი, თვე, ერი.

ორ-ორი სტუმარი ერთად დასხდნენ და ერთი მეორეს აწვდიდნენ საქმელს ამ კოვზით.

„ჯიჯილი“

სამთუნგიანთ სამეჯრ ამოიღეთ და აავეთ შეიღთუნგიანი. ეს—ათთუნგიანში ჩაასხით. ვახდება რვა თუნგი. სამთუნგიანში რომ ორი თუნგი დარჩა, შეიღიანში გადაასხით, მერე რვათუნგიანიდან სამთუნგიანი აავეთ და შეიღიანში ჩაასხით. ათთუნგიანშიც და შეიღთუნგიანშიც ხუთ-ხუთი თუნგი ღვინო იქნება.

„ნაბაღული“

კაცი ბეობდა, ღმერთი იცინოდაო. ოთახი, ოჯახი, ათასი, თასი, ასი.

თვითონ არც ერთი მარცვალი არ ჩავა, ლობიო ჟუნდა ჩაყაროთ ქოთანში; ეხო; გაყინული წყლის; ყველაზე ღონიერი ცხოველია ლოკოინა, თავის სახლი ზურგით დააქვს; საესე ბოლოებში.

წიგნი.

საქართველოს ალკ კა-ნისა და ვ. ო. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შურსალი უმცროს-კლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კა კა-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენევერ ნიშპარაძე

სარედაქციო კომეგია: მდურად ანტო. პაძე, ილია ანთუშაპა, მირი ღაბია-თაფილი, სოლომონ დემურხანა-შვილი, ლილა შაბაძე, მანანა კობა-ჩიძე, ვალა ლოსაბერიძე, მავაპლა მრამულიშვილი, ჯურახა ნადირაძე, გიორგი რთინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათი ჩალაური (პ/მ. მღაფან), გივი ბიბინაძე, მანანა ხა-ჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შო. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მ. მღინის 98-10-32, 98-98-18; სამხ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილე-ბების: 98-98-19; 98-98-17.

გაღებია ანაწუხად 10. 11. 84 წ., ხელმო-წერილია დასაბეჭდად 11. 12. 84 წ., ქა-ღაღდის ზომა 80×90/16. ფაზ ნახ. ფურც 2,5, ტირაჟი 183000, შეკეგია № 2812.

შურსალი გააფორმა გიორგი რთინიშვილმა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младежклас-ნიკო, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишара-дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 183000. Заказ № 2612.